პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

PGG III: პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის III: (ფაზა III 2023-2027)

განხორციელების ვადა: 01.03.2023 - 28.02.2027

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 15 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 19 300 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Council of Europe

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/partnershipgovernance/, https://twitter.com/CoE_EU_PGG

პროექტის ვებსაიტები: partnership-governance-eu.coe.int

პროექტის აღწერა:

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის (PGG) - ეს არის რეგიონული პროგრამა, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. PGG III ეფუძნება პროგრამის ორი წინა ფაზის მიღწევებს მართლმსაჯულების რეფორმის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში. თითოეული ქვეყნისთვის სპეციფიკურ ინტერვენციებთან ერთად დამატებით ტარდება რეგიონული ღონისძიებები პროგრამის პრიორიტეტულ სფეროებში. ყველა ღონისძიება ეფუძნება ევროპის საბჭოს უნიკალურ ექსპერტიზას, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს მიაღწიონ ორგანიზაციის სათანადო სტანდარტებს ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის სფეროებში. PGG III-ის დაგეგმვაში ასევე გათვალისწინებული იყო უკრაინის, მოლდოვის რესპუბლიკის და საქართველოს მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მათი ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსთან (უკრაინისა და მოლდოვის რესპუბლიკისთვის) და ევროპულ პერსპექტივასთან (საქართველოსთვის).

გარდა ამისა, PGG გააგრძელებს სომხეთის და აზერბაიჯანის მხარდაჭერას, ისევე, როგორც ბელარუსის დემოკრატიულ ძალებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მხარდაჭერას.

PGG III მხარს უჭერს შიდა რეფორმების ეფექტიან განხორციელებას დამატებითი ღონისძიებების საშუალებით, როგორიცაა

მოსალოდნელი შედეგები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესება PGG III-ის პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა მაგალითად, მართლმსაჯულების გაძლიერება, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, თანასწორობის დამკვიდრება და დისკრიმინაციის აკრძალვის ხელშეწყობა, სამართლიანობაზე ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.
2. რეგიონული თანამშრომლობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის, ინფორმაციის და მოწინავე პრაქტიკის ურთიერთგაზიარებას და კავშირების გაღრმავებას.
3. პრიორიტეტული რეფორმებისთვის საჭიროებებზე დაფუძნებული იურიდიული კონსულტაციების გაწევა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც განხორციელდება პარტნიორი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი სწრაფი რეაგირების მექანიზმის საშუალებით.
4. აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში დაინტერესებული მხარეების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოტენციალის გაძლიერება ისეთ საკითხებში, როგორიცაა მაგალითად, ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.